

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ ფინანსური  
ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

## შინაარსი:

### კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგება

|                                                  |   |
|--------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....         | 3 |
| სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება .....     | 4 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ..... | 5 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....               | 6 |

### კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                  |    |
|------------------------------------------------------------------|----|
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                       | 7  |
| 2. მომზადების საფუძვლები .....                                   | 7  |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები ..... | 8  |
| 4. ძირითადი საშუალებები .....                                    | 8  |
| 5. ინვესტიციები .....                                            | 9  |
| 6. მარაგები .....                                                | 9  |
| 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                              | 9  |
| 8. ფული და ფულის ეკვივალენტები .....                             | 9  |
| 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                           | 9  |
| 10. სხვა ხარჯები .....                                           | 10 |
| 11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                     | 10 |
| 12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგომი მოვლენები .....             | 11 |
| 13. პირობითი ვალდებულებები .....                                 | 11 |
| 14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....                | 11 |

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                      | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|--------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| <b>აქტივები</b>                      |          |                      |                      |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |          |                      |                      |
| ძირითადი საშუალებები                 | 4        | 2,968,756            | 3,313,503            |
| არამატერიალური აქტივები              |          | 6,811                | 8,880                |
| ინვესტიციები                         | 5        | 10,759,707           | 10,270,622           |
|                                      |          | <b>13,735,273</b>    | <b>13,593,006</b>    |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>            |          |                      |                      |
| მარაგები                             | 6        | 499,076              | 384,536              |
| წინასწარ გაწეული ხარჯები             |          | 99,694               | 84,867               |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 7        | 1,366,665            | 801,857              |
| გაცემული ავანსები                    |          | 12,720               | 9,568                |
| ფული და ფულის ეკვივალენტები          | 8        | 202,773              | 93,667               |
|                                      |          | <b>2,180,928</b>     | <b>1,374,496</b>     |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>15,916,201</b>    | <b>14,967,501</b>    |
| <b>კაპიტალი</b>                      |          |                      |                      |
| სააქციო კაპიტალი                     |          | (12,489,914)         | 12,000,000           |
| დაუფარავი ზარალი                     |          | (1,886,008)          | 839,353              |
| გადაფასების რეზერვი                  |          | -                    | -                    |
|                                      |          | <b>(14,375,922)</b>  | <b>12,839,353</b>    |
| <b>ვალდებულებები</b>                 |          |                      |                      |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>       |          |                      |                      |
| მიღებული ავანსები                    |          | (333,443)            | -                    |
| დარიცხული ხელფასი                    |          | (38,276)             | 83                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 9        | (1,131,826)          | 2,074,762            |
| საგადასახადო ვალდებულებები           |          | (35,733)             | 52,304               |
| ვალდებულება კაპიტალის შევსებაზე      |          | (1,000)              | 1,000                |
|                                      |          | <b>(1,540,279)</b>   | <b>2,128,149</b>     |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b> |          | <b>(15,916,201)</b>  | <b>14,967,502</b>    |

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ბუღალტერი

სოფო ჩოხელი

დირექტორი

გოჭბერ თამაზ

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**სს ასია სოფთეერ**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

|                                                   | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|---------------------------------------------------|----------|----------------------|----------------------|
| <b>საოპერაციო შემოსავალი</b>                      |          |                      |                      |
| პროგრამული უზრუნველყოფიდან მიღებული შემოსავლები   |          | 4,932,643            | 930,867              |
| აპარტამენტების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები |          | -                    | 31,594               |
| გასართობი ცენტრიდან მიღებული შემოსავლები          |          | 804,734              | 273,681              |
| ავტოსადგომიდან მიღებული შემოსავლები               |          | 250,579              | 187,728              |
| სხვა შემოსავალი                                   |          | 1,688,426            | 101,427              |
|                                                   |          | <b>7,765,922</b>     | <b>1,525,298</b>     |
| <b>საოპერაციო ხარჯები</b>                         |          |                      |                      |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები                  |          | (5,032,708)          | -                    |
| ხელფასის ხარჯი                                    |          | (403,651)            | (576,966)            |
| ცვითის ხარჯი                                      |          | (869,230)            | (848,013)            |
| იჯარის ხარჯი                                      |          | (155,307)            | (334,710)            |
| კომუნალური ხარჯი                                  |          | -                    | (24,179)             |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                           | 10       | (272,778)            | (327,306)            |
| წილის გაყიდვიდან მიღებული ზარალი                  | 5        | -                    | (789,883)            |
| <b>საოპერაციო მოგება (ზარალი)</b>                 |          | <b>1,032,247</b>     | <b>(1,375,759)</b>   |
| საკურსო სხვაობა, ნეტ                              |          | 15,125               | 970,207              |
| <b>სულ ზარალი</b>                                 |          | <b>1,048,235</b>     | <b>(405,552)</b>     |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                   |          | <b>1,048,235</b>     | <b>(405,552)</b>     |

7 - 15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს ასია სოფთვეარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

|                                                       | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>ნამეტი | გაუნაწილებელი<br>მოგება<br>(დაუფარავი<br>ზარალი) | ჯამი       |
|-------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------|--------------------------------------------------|------------|
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის                      | 12,000,000            | 2,318,959             | (1,074,983)                                      | 13,243,976 |
| გადაფასების ნამეტი                                    |                       | (2,318,959)           | 2,318,959                                        | -          |
| მთლიანი სრული ზარალი                                  | -                     |                       | (404,623)                                        | (404,623)  |
|                                                       | -                     |                       |                                                  |            |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის                      | 12,000,000            | -                     | 839,353                                          | 12,839,353 |
| გადაფასების ნამეტის გადატანა<br>გაუნაწილებელ მოგებაზე |                       |                       |                                                  |            |
| მთლიანი სრული ზარალი                                  | -                     |                       | 1,048,235                                        | 1,048,235  |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის                      | 12,489,914            | -                     | 1,887,588                                        | 14,377,502 |

სს ასია სოფთეუარ

კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

|                                                                    | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|--------------------------------------------------------------------|----------------------|----------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>                   | <b>2021</b>          | <b>2020</b>          |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები                         | 5,356,403            | 3,397,755            |
| მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი თანხები                  | (6,522,958)          | (2,914,377)          |
| გადახდილი გადასახადები                                             | (514,882)            | (669,491)            |
| სხვა                                                               | 175,342              | (12,602)             |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>             | <b>(1,506,094)</b>   | <b>(198,715)</b>     |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                  |                      |                      |
| მიღებული პროცენტი                                                  | 1,679,067            | 299                  |
| გადახდილი პროცენტი                                                 | -                    | -                    |
| <b>წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>1,679,067</b>     | <b>299</b>           |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                     |                      |                      |
| სესხის დაფარვა                                                     | -                    | -                    |
| სესხის მიღება                                                      | -                    | -                    |
| <b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</b>     | <b>-</b>             | <b>-</b>             |
| <b>ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)</b>             | <b>172,973</b>       | <b>(198,416)</b>     |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>                 | <b>93,667</b>        | <b>292,787</b>       |
| გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე  | (63,867)             | (704)                |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>                      | <b>202,773</b>       | <b>93,667</b>        |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

სს "ასია სოფთეჯარ" დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს ბათუმში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. ორგანიზაცია დაარსდა 2016 წლის 7 ივლისს.

ორგანიზაციის 100%-იანი მფლობელი არის სს მეტრო ატლას იაზილიმ ვე ბილიშიმ ჰიზმეთლერიმ. კომპანიის დირექტორი არიან: გოჭერჩ თამაჩ.

ორგანიზაციის საქმიანობას წარმოადგენს გასართობი პარკების და თემატური პარკების საქმიანობები: იმპორტირებული საქონლის რეალიზაცია; პროგრამული უზრუნველყოფა; საპარკინგე მომსახურება.

კომპანიის ფაქტობრივი და რეგისტრირებული მისამართი საქართველო, ქ. ბათუმი, ლეზ და მარია კაჩინსკების ქ. N 1

2019 წლის სექტემბერში დაარსდა სს სარფ თრეველი, რომლის ძირითადი საქმიანობაა გადაზიდვებთან დაკავშირებული საფოსტო მომსახურება, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 100%-იან წილს სს სარფ თრეველში.

2020 წლის 06 ოქტომბერს დაარსდა შპს ა ფეი ფეიმენტოს სისტემს, რომლის 100%-იანი წილის მფლობელსაც წარმოადგენს სს ასია სოფთეჯარი. შპს ა ფეი ფეიმენტოს 2021 წლის განმავლობაში კომპანია ეწევა სავალუტო ოპერაციებს სპეციალური დანადგარებით.

2021 წლის 30 ივნისს დაარსდა შპს ჯოი ფეიმენტოს სისტემს რომლის 100%-იანი წილის მფლობელსაც წარმოადგენს სს ასია სოფთეჯარი. ჯოი ფეიმენტოს სისტემს 2021 წლის განმავლობაში ოპერაციები არ განუხორციელებია.

## 2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის" (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას, შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, გარდა ძირითად საშუალებებში წარდგენილი აპარტამენტებისა, რომლებიც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

მთავრობის შეზღუდვების გამო კომპანიამ დროებით შეაჩერა გასართობი პარკების საქმიანობა, თუმცა ამავდროულად გაიზარდა მომხმარებლების რაოდენობა როგორც პროგრამული უზრუნველყოფის

კუთხით, ასევე საქონლის გაყიდვით. ამიტომ მენეჯმენტი თვლის, რომ 2022 წელს კომპანია გამოიძულებს დაგეგმილ შემოსავალს.

შედეგად, ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

#### ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

### 4. ძირითადი საშუალებები

| საბალანსო ღირებულება                  | აპარტამენტები | მანქანა-დანადგარები | ოჯართი აღებული ქონების კეთილმოწყობა | სხვა      | სულ          |
|---------------------------------------|---------------|---------------------|-------------------------------------|-----------|--------------|
| <b>ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი</b> |               |                     |                                     |           |              |
| შემოსვლა                              | 12,268,281    | 2,944,387           | 766,878                             | 689,988   | 16,669,534   |
| შიდა ჯგუფური მოძრაობა                 | 3,503         | 3,781               | -                                   | 43,086    | 50,370       |
| <b>ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი</b> | (11,236,547)  | (804)               | -                                   | (441,589) | (11,678,940) |
| შემოსვლა                              | 1,035,237     | 2,947,364           | 766,878                             | 291,485   | 5,040,964    |
| გასვლა                                | 40,712        | 352,587             | -                                   | 137,760   | 531,059      |
| <b>ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი</b> | (1,075,949)   | 3,294,568           | 766,878                             | 422,347   | 5,559,742    |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>                |               |                     |                                     |           |              |
| <b>ბალანსი 2019 წლის 31 დეკემბერი</b> |               |                     |                                     |           |              |
| ცვეთა                                 | (385,756)     | (663,320)           | (199,717)                           | (246,227) | (1,495,020)  |
| გასული აქტივის ცვეთა                  | (49,599)      | (587,524)           | (153,376)                           | (56,575)  | (847,074)    |
| <b>ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი</b> | 410,932       | 207                 | -                                   | 203,494   | 614,633      |
| ცვეთა                                 | (24,423)      | (1,250,637)         | (353,093)                           | (99,308)  | (1,727,461)  |
| გასული აქტივის ცვეთა                  | (20,705)      | (604,329)           | (153,376)                           | (88,751)  | (867,161)    |
| <b>ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი</b> | (45,128)      | (1,852,912)         | (506,469)                           | (186,479) |              |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>    |               |                     |                                     |           |              |
| <b>ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი</b> | 1,010,814     | 1,696,727           | 413,785                             | 192,177   | 3,313,503    |
| <b>ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერი</b> | 1,030,821     | 1,441,656           | 260,409                             | 235,868   | 2,968,754    |

**სს ასია სოფთვეარ**

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის**

**(ლარში)**

**5. მარაგები**

|                        | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|------------------------|----------------------|----------------------|
| საქონელი               | 489,568              | 379,435              |
| დაუმთავრებელი წარმოება | 9,386                | 5,101                |
|                        | <b>498,954</b>       | <b>384,536</b>       |

**6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

|                                          | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|------------------------------------------|----------------------|----------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1,223,501            | 801,857              |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ    | -                    | -                    |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 143,164              | -                    |
| <b>სულ</b>                               | <b>1,366,665</b>     | <b>801,857</b>       |

**7. ფული და ფულის ეკვივალენტები**

|                        | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|------------------------|----------------------|----------------------|
| ნაღდი ფული სალაროში    | 45,962               | 42,679               |
| ფული საბანკო ანგარიშზე | 156,811              | 50,988               |
|                        | <b>202,772</b>       | <b>93,667</b>        |

**8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                         | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|-----------------------------------------|----------------------|----------------------|
| ვალდებულებები რეზიდენტ მომწოდებლებთან   | (249,864)            | 178,781              |
| არარეზიდენტი მომწოდებლები (საქონელი)    | (537,808)            | 1,345,573            |
| არარეზიდენტი მომწოდებლები (მომსახურება) | (342,453)            | 549,154              |
| სხვა                                    | -                    | 1,254                |
|                                         | <b>(1,130,124)</b>   | <b>2,074,762</b>     |

**10. სხვა ხარჯები**

|                     | 2021           | 2020             |
|---------------------|----------------|------------------|
| საგადასახადო ხარჯი  | 37,272         | (67,036)         |
| ტრანსპორტის ხარჯი   | 51,812         | (32,332)         |
| საკონსულტაციო ხარჯი | 62,656         | (29,006)         |
| რეკლამის ხარჯი      | -              | (567)            |
| დაზღვევის ხარჯი     | -              | (8,523)          |
| საპროცენტო ხარჯი    | -              | -                |
| კომუნიკაციის ხარჯი  | 9,612          | (10,066)         |
| ჯარიმის ხარჯი       | -              | -                |
| სხვა                | 111,426        | (179,776)        |
|                     | <b>272,778</b> | <b>(327,306)</b> |

## 12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ჯარებმა დაიწყეს უკრაინაში შეჭრა. მიმდინარე სამხედრო თავდასხმას მოჰყვა მნიშვნელოვანი მსხვერპლი, მოსახლეობის დისლოკაცია, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ეკონომიკური აქტივობის შეფერხება უკრაინაში. საპასუხოდ, მრავალმა იურისდიქციამ, მათ შორის ევროკავშირმა, შევიცარია, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, კანადამ, იაპონიამ და ავსტრალიამ დააწესეს ეკონომიკური სანქციების საწყისი ტრანშები რუსეთს (და ზოგიერთ შემთხვევაში ბელორუსს). სანქციების დაწესების გარდა, მსხვილი საჯარო და კერძო კომპანიების მზარდმა რაოდენობამ გამოაცხადა ნებაყოფლობითი ქმედებები რუსეთთან და ბელორუსთან ბიზნეს აქტივობების შესამცირებლად. ეს ქმედებები მოიცავს აქტივების განკარგვის გეგმებს ან ოპერაციების შეწყვეტას რუსეთში/ბელორუსში, ამ ქვეყნებში ექსპორტის ან იმპორტის შეზღუდვას და სერვისების მიწოდების შეწყვეტას. გარდა ამისა, სხვადასხვა საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ რამოდენიმე რუსულ კომპანიას შეუჩერდა ლისტინგი და გამორიცხული იქნენ ბაზრის ინდექსებიდან. რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა დროებით შეაჩერა აქციებითა და დერივატივებით ვაჭრობა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასევე დროებით აუკრძალა უცხოელ ინვესტორებს რუსული აქტივების გაყიდვა და მნიშვნელოვანი შეზღუდვები დააწესა უცხოური სუბიექტებისთვის ნებისმიერ გადახდებზე, მაგ. ფინანსური ვალდებულებების დასაფარად. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში) სს ჯოი ჰოტელ ბათუმი გაირემენქულ იათირიმ ორთაქლილი ფინანსური ანგარიშგება 31 დეკემბერი 2021 22 ომი უკრაინაში და მასთან დაკავშირებული მოვლენები ხდება მნიშვნელოვანი გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობისა და მერყეობის დროს და ეფექტები, სავარაუდოდ, ურთიერთქმედებს და გააძლიერებს მიმდინარე ბაზრის ეფექტებს. ბევრი სექტორი/იურისდიქცია უკვე განიცდის სასაქონლო ფასების ზრდისა და ნედლეულის გაზრდილი ხარჯების გავლენას, რაც გამოწვეულია მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდის შედეგად COVID-19 პანდემიის შემსუბუქების გამო. მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები, რომლებიც წარმოიქმნება პანდემიის ეფექტებიდან, გრძელდება და ძლიერდება მუშახელის დეფიციტისა და სავაჭრო ხახუნის გამო. ეს პირობები შეიძლება მნიშვნელოვნად გააძვირდეს უკრაინაში ომის ფართო ეფექტებით, გაზრდილი ინფლაციური ზეწოლა და გლობალური პოსტპანდემიური აღდგენის შესუსტება. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ უკრაინაში სამხედრო კონფლიქტის გავლენა, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვლის ბოლოს, არ არის მნიშვნელოვანი ან კრიტიკული.

## 13. პირობითი ვალდებულებები

### დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდოდ ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

**14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

|                                  | აშშ<br>დოლარი | ევრო   | თურქული<br>ლირა | რუბლი  |
|----------------------------------|---------------|--------|-----------------|--------|
| კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.2766        | 4.0233 | 0.4462          | 4.4031 |
| კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის | 3.0976        | 3.5040 | 0.2379          | 4.1479 |

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

**ფული და ფულის ეკვივალენტები**

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

**ძირითადი საშუალებები**

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის

სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

#### 14. ძირითადი საღირებვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

|                                    | სასარგებლო მომსახურების<br>ვადა (წელი) |
|------------------------------------|----------------------------------------|
| შენობები                           | 50                                     |
| მანქანა-დანადგარები                | 5                                      |
| ავტომობილები, კომპიუტერები და სხვა | 5                                      |

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაფასების ნამეტი წარდება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების ნამეტი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში 'გადაფასების ნამეტის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

#### მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

#### შემოსავალი საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან

საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. კომპანიის მიერ პროგრამული უზრუნველყოფისა და ავიაბილეთების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი როდესაც იგი გამოდის მარწმუნებლის როლში, ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო საფუძველზე.

#### 14. ძირითადი საღირცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმოდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

##### ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

##### დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

##### ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

##### სააქციო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც საკუთარი კაპიტალი, სანამ ისინი არ მოხვდებიან ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების განმარტებაში. კომპანიის ჩვეულებრივი აქცია კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტი.

საბაზისო შემოსავალი ერთ აქციაზე გაიანგარიშება საწარმოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისათვის განკუთვნილი მოგების ან ზარალის გაყოფით, მოცემულ პერიოდში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობაზე.

#### 14. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

##### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

##### ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი